შინაური საქმეები.

№ 11

ფასი ერთი შაური.

წლიური ფასი სამი მან.

წლიწადი მეოთხე

ყოველ კვირეული გაზეთი.

კვირა, — 24 აპრილი, — 1911 წელი.

(ყოველ-კვირეულ გაზეთ)

„შინაურ საქმეებზე“ ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში ([illegible] მ. № 17). და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, [illegible] შუშის მაღაზიაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირკობისთვისა და მარიამობისთვისა, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბბ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი:	ნახ. წლით:	გაზეთი ღებულობს ყოველგვარ
3 მანეთი.	**2** მანეთი.	განცხადებებს.

ადრესი: ქუთაისი: ,,შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: 1) მეთაური. 2) რომელი არა არს ჩემთანა, იგი ჩემი მტერი არს—მღვ. იოანე ლუკიანოვისა. 3) სინამდვილე სახარებისა. 4) ნარკვევი—ჟურნალ-გაზეთებიდგან. 5) ჩვენ რა დავაშავეთ! 6) [illegible] ყველგან კარგია. 7) ღია წერილი—მღვდ. ბესარიონ ვაშაძისა.

ქუთაისი, 24 აპრილი.

მაშ ასე და ასე! არ იქნა და არა, რომ ჩვენ ქალაქის ეკლესიებში ქართული გალობა გაგვეგონა. არაფერმა არ გვიშველა, არც სასულიერო სასწავლებლებში მისმა სავალდებულოდ შემოღებამ, არც კერძო დახმარებამ, არც ერის მორწმუნე ნაწილის ჩივილ—ღაღადმა. რამდენი ხანია, ჩვენ სასულიერო სასწავლებლებში ქართული საეკლესიო გალობა შემოიღეს, რამდენი ხანია საუკეთესო მცოდნენი ამ საგანისა იღვწიან ამ სარბიელზე, მაგრამ

ვერ ვეღირსეთ და ვერა ქართულ გალობას ეკლესიებში, განსაკუთრებით ქუთაისისაში. ეჭვსი თუ შვიდი ქართული ეკლესიაა ქალაქ ქუთაისში და არსად, არა თუ ქართული, არაფერი გალობა არ არსებობს. ყველგან მედავითნეთა გულშემაწუხებელი ღიღინი გაისმის და არსად გამაცოცხლებელი, სასოების მომგვრელი ქართული გალობა. დღემდის სობორო-ში მაინც გავიგონებდით ხოლმე ცოტათ თუ ბევრათ ჰარმონიულ სლოვენურ გალობას. დღეს კი ამასაც ვერ ვხედავთ; დღეს სობოროც დაქვეითებულია ამ მხრით. სობოროს ხოროს საღდგომო გალობა, მაგალითად, არეით გალეშილ რუსთა ღრიანცელს წარმოადგენდა; საპასექო საგალობლები, რომლებიც თავის თავათ ასე სიამოვნებით ატოკებენ ადამიანის გულს, ვინც უნდა იყოს იგი—მორწმუნე თუ ურწმუნო, მხოლოდ მწარე დაცინვის ღიმილს გვრიდა მსმენელებს. მთავარანგელოზის ეკლესიაში, სადაც ერთად ერთი ქართულ მგალობელთა გუნდი (?) არსებობს ბ. ი. ნიკოლაძის ლოტბარობით, არაფერ სანუგეშოს არ წარმოადგენს და თავის თავათ მხოლოდ ქართული გალობის ჰარმონიათ შეგვიძლია შევრაცხოთ. სხვა ეკლესიებზე რაღა მოგახსენოთ? როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, მხოლოდ მედავითნეთა ძილის მომგვრელი ღიღინი გესმის. ვისი ბრალია ეს, ვინ არის დანაშაული ამ შეძთხვევაში სამშობლო ეკლესიის წინაშე? რა თქმა უნდა მღვდელნი, წინამძღვარნი და მმართველნი ეკლესიისანი. მათი პირდაპირი და საღვთო მოვალეობაა, იზრუნონ საღვთო მსახურების კეთილ-წესიერებაზე და განშვენებაზე. ამ საგნისთვის იგინი არ უნდა ზოგავდენ არავითარ ნივთიერ საშუალებას. ეკლესიას თუ რამე კაეზნია, თუ რამე საშუალება მოეძებნება, პირველათ ამ საგანზე უნდა იზარჯებოდეს. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მგალობელთა გუნდნი თავისთავათ იბადებოდენ მორწმუნეთა შორის და სრულიად უსასყიდლოთ ემსახურებოდენ ეკლესიას; ეხლა ასეთი გუნდები თვით ეკლესიამ, ე. ი. მისმა მსახურებმა უნდა შექმნან განსაზღვრულ საშრომელის დანიშვნით. თქმა არ უნდა ბევრ ეკლესიას არ შეუძლია ასეთი საშრომელი გაიღოს, მაგრამ ასეთ მდიდარ ეკლესიას, როგორც მთავარანგელოზის ეკლესიაა, ადვილათ შეუძლია წესიერი მგალობელთა გუნდი იყოლიოს. ურიგო არ იქნებოდა, ადგილობრივი სასულიერო მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდეს ამ დიდმნიშვნელოვან საგნს და ქალაქის რამოდენიმე ეკლესიას მაინც დაავალდებულებდეს, იყოლიონ ჯამაგირით მუდმივი მგალობელთა გუნდი.

რაიცა შეეხება განსაკუთრებით სობოროს, სადაც 1600 მანეთი საეკლესიო სახაზინო ფულია გადადებული გალობისათვის, უნდა მოგახსენოთ, მიუტევებელ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს აქ

ისეთი გუნდის ეოლა, როგორიცდღეს გალობს. მაგრამ ესეც უადგილო მომჭირნეობას უნდა მიეწეროს, რადგან, როგორც გავიგეთ, 1600 მანეთის მაგიერ გუნდი მხოლოდ 1200 მან. ღებულობს და „იაფ ფასიან ცორცს რომ კარგი წვენი არ გაუკეთდება“, ესეც სომ ჭეშმარიტებაა. სობოროს მომჭირნეებს უთუოდ ნაკლებათ ესმისთ გალობის მნიშვნელობა, თორემ არა თუ გადადებულ ფულს, არამედ მეტსაც გაიღებენ. და თუ ესმისთ, ისიც უნდა ესმოდესთ, რომ „გლახის ეოლას არ ეოლა სჯობია.“ ეოველ შემთხვევაში 1600 მანეთი უკეთესად მოაწეობს მგალობელთა გუნდს, ვიდრე 1200 მანეთი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კვლავ არ შეკვეცავენ გალობისთვის გადადებულ თანხას და ეცდებიან ლოტბარიც უკეთესი მოიწვიონ. ღმერთმა ნუ ინებოს, რომ მომავალ აღდგომას ასეთივე გალობა (?) მოგვესმინოს ჩვენ მვირფას მოგონებით სავსე სობოროში!

ხელი.

„რომელი არა არს ჩემთანა, იგი მტერი ჩემი არს“.

(მათ. 12, 30.)

(თარგმანი)

თანამედროვე ქვეყნის ცხოვრება რომ შეეადაროთ ქრისტეს ცხოვრებასთან და მოძღვრებასთან, ცხადად და თვალნათლად დავინახავთ, რომ ეაცობრიობის მომეტებული ნაწილის ცხოვრება წინააღმდეგია ქრისტესი. აბა სხვა რაში მდგომარეობს ეს ცხოვრება, თუ არა ვერცხლის მოყვარეობაში, ჭამა-სმის ზრუნვაში, მოქრთამეობაში, ხორციელ გულისთქმაში, ამპარტავნობაში?! აი რას ეძებენ ადამიანები ქვეყნად: დიდ პატივს, დიდ ყურადღებას, დიდ სახელს. ქვეყნად გამეფებულია უმორჩილობა, გულის წყრომა, ჩხუბი, ომი, უთანხმოება, მტრობა, შურის ძიება სიტყვით და საქმით, დაფარული შური, შეურიგებლობა, უსამართლოება, უწმიდურობა, მოტყუება, ცრუობა, ცილისწამება და სხ. ერთი სიტყვით, „მთელი ცხოვრება მომეტებული თანამედროვე ხალხისა არის ქვეყნის-მოყვარება, თავისმოყვარება, თავის საკუთარი პატივი, ანგარება-თავის სასარგებლოდ.“

პირიქით, ქრისტეს ცხოვრება და მოძღვრება არის მხოლოდ ერთი წმიდა და უმანკო სიყვარული ღვთისა და ხალხისადმი, მეგობრობა, სიმშვიდე, თავმდაბლობა, მოთმინება, მორჩილება, მოწყალება, სიმართლე, ჭეშმარიტება, სიწმიდე, უგულებელს-ყოფა ქვეყნისა და ყოველივე ქვეყნიური პატივისა, სიმდიდრისა და ავხორცობისა, თავის-თავის უარისყოფა, განუწყვეტელი ჯვარი, ტანჯვა, მწუხარება, დაუცხრომელი მისწრაფება ღვთის სასუფევლისაკენ, და აღგზნებული სურვილი ღვთის ნების ასრულებისა.

ქრისტე ამბობს: „რომელი არა არს ჩემთანა, იგი მტერი ჩემი არს“. (მათ 12, 30). თანამედროვე ქვეყნის ცხოვრება-კი არ არის ქრისტესთან; იგი სრულებითაც არ ეთანხმება მას. თითქმის არ არის არავინ, რომელსაც ჰქონდეს ერთი გული, ერთი გონება, ერთი მიდრეკილება, ერთი სული ქრისტესთან, როგორც ეს უნდა ყოფილიყო. წმ. პაველ მოციქული ამბობს: „ჩვენ გონებაჲ ქრისტესი გვაქვს“ (ა. კორ. 2, 16); ხოლო სხვა ადგილს გვირჩევს, რომ „თვითეულ ჩვენგანში იყვნენ ისავე გრძნობები, როგორიც იყვნენ ქრისტესში“ (ფილიპ. 2, 5). სჩანს, აბა ქვეყნის შვილები ქრისტეს წინააღმდეგ არიან; ხოლო რომელიც ქრისტეს წინააღმდეგია, იგი ანტი-

ქრისტეა, თუ სწავლით არა, ცხოვრებით მაინც.

მაშ, სად შეიძლება ვიპოვოთ ეხლა ჭეშმარიტი ქრისტიანები? შეიძლება ისინი შეადგინენ „მცირესა სამწყსოსა“, როგორც უფალი უწოდებს მათ: „ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო იყო მამამან თქვენმან ზეცათამან მოცემად თქვენდა სასუფველი“ (ლუკ. 12, 32); ან როგორც წინასწარმეტყველი ისაია ადარებს მათ ქოხს, ვენახში მდგომს, ღბრალო ოთახს ბოსტანში, მოოხრებულ ქალაქს; ან როგორც წინასწარმეტყველი მიქია (7, 1) ადარებს მათ ყურძნის მტევანს, რთვლის შემდეგ დარჩენილს ვაზზე, სიტყვებით: „ვაიმე! რამეთუ ვიქმენ ვითა მტევანი ყურძნისა რთვლის შემდეგ“; ან როგორც დავით წინასწარმეტყველი ადარებს მათ გამარტოებულ გვრიტს (ფსალ. LXXIII, 19), მარტოდ დარჩენილ ფრინველს, რომელსაც არა სძინავს და ზის ბანზე, ფრინველს უდაბნოში მყოფს, ჯოტს ნანგრევებზე (ფსალ. 61, 7).

იმათ იცნობს მხოლოდ ღმერთი, ვინ არიან ისინი, და რად არიან. „ქრისტე იმათთანაა“, ან იმათშია, „ყოველთა დღეთა, ვიდრე დასასრულამდე სოფლისა“ (მათ. 28, 20). იგი „არ დასტოვებს მათ ობლად“ (იოან. 14, 18). ვინ არიან ისინი?—აი რა უნდა არჩევდეს მათ სხვებიდან: „განეშორენ სიცრუისაგან ყოველი, რომელიც მოუწოდს სახელსა ქრისტესასა“ (ბ. ტიმოთ. 2, 19). ვისაც ასე მოქცევა არ უნდა, იმან დასტოვოს ქრისტეს სახელი, დაირქვას, რაც უნდა სხვა სახელი, მხოლოდ არა ქრისტიანისა.

მღ. იოანე ლუკიანოვი.

სინამდვილე სახარებისა.

(**გლადკოვიდგან**).

ესე ყოველი დაიწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ იესო არს ქრისტე, ძე ღმერთისა. (იხ. XX 31).

(გაგრძელება *).

ამით გავათაოთ შტრაუსთან კამათი და შეუდგეთ იმ საკითხის გამოძიებას, თუ რამდენათ სანუმუნონი არიან სახარებანი, რამდენათ მართალია სახარების ძოთხრობანი ი. ქრისტეს პიროვნებაზე, მის სასწაულებზე და სხვ.

მახარებლები მათე და იოანე იყვნენ პირდაპირნი მოწაფენი ქრისტესნი, თანამოგზაურნი მოწაფენი, თვითმხილველნი მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეებისა, მისი მოძღვრებისა და სასწაულებისა; მარკოსმა ჩასწერა თავის სახარებაში მხოლოდ ის, რაც ასეთმავე თვითმხილველმა—მოწაფემ მოციქულმა პეტრემ იქადაგა იესო ქრისტეზე რომში; ხოლო ლუკამ გამოიძია ყველა შემთხვევები იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრებისა და თავის სახარებაში მოათავსა ბეჯითად შემოწმებული ცნობები, რომლებიც შეაგროვა არა თუ მხოლოდ მსახურთაგან „სიტყვისა მის“ ე. ი. მოციქულთაგან, არამედ სხვა მომსწრეებთაგანაც.

ამ ნაირათ სახარება მათესი და იოანესი უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენება მომსწრე, თვითმხილველ მოწმეებისა, მათივე ხელით დაწერილი; სახარება მარკოსისა—როგორც ჩვენება პეტრე მოციქულისა, იმავ მომსწრე თვითმხილველ მოწმისა, დაწერილი მისივე სიტყვიდან სხვისაგან და მისგანვე მოწონებული; სახარება ლუკასი—როგორც სისტემატიური კრებული მოციქულთა და სხვა თვითმხილველთა

*) იხ. „შინ. საქ.“ № 8.

ჩვენებისა, რომლებიც სახელდობრ ნაჩვენები არ არიან და რომელთა რიცხვს უსაცილოდ ყ-დ წმ. ქალწული მარიამიც ეკუთვნის.

ის გარემოება, რომ სამი სახარების დამწერნი იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრების და მისი მოძღვრების და სასწაულების თვითმხილველნი მოწმეები იყვნენ, ამტკიცებს რომ თვით მათ უეჭველათ ნახეს და გაიგონეს ის, რაზედაც მოწმობენ. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის, რომ მათი მოწმობა სარწმუნოთ მივიღოთ: საჭიროა კიდევ ვიცოდეთ, **როგორ** ნახეს და **როგორ** გაიგონეს, რადგან შესაძლებელია **ხედავდენ და ვერ ამჩნევდენ, ესმოდათ და ვერ გულისხმაჰყოფდენ**, ე. ი. შეიძლება სრულებით არ გვესმოდეს ნახული და გაგონილი ან გვესმოდეს სხვანაირად.

ამ საკითხის განხილვის დროს, პირველ ყოვლისა, უნდა ვიქონიოთ სახეში ის გარემოება, რომ ყველა იმ დროის ებრაელები მოელოდენ მესსიას ქვეყნიურ მეფის ბრწყინვალებით და დიდებით, როგორც დიდებულ ქვეყნიერების დამპყრობელ მეფეს, რომელიც დაუმორჩილებს მათ მთელ დანარჩენ კაცობრიობას და იმეფებს საუკუნოთ, და რომ ასეთ შეხედულობაზე უცხო არ იყვნენ თვით მოციქულებიც.

თუმცა მუდამაც თან სდევდენ იესო ქრისტეს, კიდეც ხედავდენ მის სასწაულებს და ისმენდენ მის მოძღვრებას, მოციქულები ამ ცრუ შეხედულების გავლენის ქვეშ მაინც მოელოდენ, რომ იგი ბოლოს და ბოლოს მაინც გამოაცხადებს თავს მეფედ და ამიტომ დიდხანს ვერ ურიგდებოდენ იმ აზრს, რომ მეფობა ქრისტესი **არა ამის სოფლისაგან არს**. მიუხედავად იმისა, რომ იესო ქრისტემ ბევრჯელ პირდაპირ განუცხადა მათ თავის მოსვლის მიზანი, მოციქულები მაინც ვერ იჩენდენ საკმაო რწმენას თავის მოძღვრისადმი; ხოლო როდესაც მოახლოვდა ქვეყნად მისი საზოგადო მსახურების აღსასრული, როცა წაიყვანეს იგი ჯვარცმად, იმათ ყოველივე იმედი დაკარგეს და შიშისაგან გაიფანტენ ყველა გარდა იოანესა, რომ იესო ქრისტეს მტრებს ხელში არ ჩავარდნოდენ. მხოლოდ მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს გამოცხადებამ განამტკიცა იგინი სარწმუნოებაში და აქაც კიდევ თომამ, რომელიც პირველ გამოცხადების დროს არ დაესწრო, მოითხოვა საგრძნობელი, თვალით დასანახავი და ხელით შესახებელი დასამტკიცებელი საბუთები მისი მკვდრეთით აღდგომისა.

ამ ნაირად უნდა აღვიაროთ, რომ ის მცირემორწმუნეობა, რომელსაც ასე ხშირათ იჩენდენ მოციქულები, იფარავდა მათ გატაცებისა და მოტყუებისაგან და სრულ შეძლებას აძლევდა თავისუფლად ჩაკვირვებოდენ ყველაფერ ნახულს და გაგონილს. ასეთ გასაცვიფრებელ სასწაულებს, როგორიც არის მკვდართა აღდგინება, ძლიერი ჩაბეჭდილება უნდა მოეხდინა მოციქულებზე; ამათ გავლენის ქვეშ მცირე მორწმუნეობას ადგილი უნდა დაეთმო ბრმა სარწმუნოებისათვის. მაგრამ მოციქულებმა მიაღწიეს შეგნებულ და არა ბრმა სარწმუნოებას ქრისტეს მიმართ, და მასთან მიაღწიეს შეგნებულ სარწმუნოებას თანდისთან, რადგან სრული თავისუფლება ჰქონდათ თავისუფალ და დამშვიდებულ მოსაზრებისათვის; ასეთი თანდისთანობითი გადასვლა მოციქულებისა მცირემორწმუნეობიდან შეგნებულ სარწმუნოებაზე ათავისუფლებს მათ როგორც მოწმეებს ყოველი ეჭვისაგან, და როგორც გატაცებაში, ისე ნახულის და გაგონილს არა სიმართლით გადმოცემაში.

მიაღწიეს თუ არა ასეთ შეგნებულ სარწმუნოებას, მოციქულები მოეფინენ მთელ მაშინდელ ცნობილ ქვეყნიერებას და ყველგან დაუფარავად აღიარებდენ მას, რისაც თვითმხილველნი იყვნენ და რასაც ასწავლიდა მათ ქრისტე. მშვიდი გალილეველი მეთევზეები არ შეუშინდენ, წასულიყვნენ უცხო ქვეყნებში, რომ ექადაგნათ რელიგია სიყვარულისა, არ შეუდრკენ ქრისტეს მტრების მძლავრობას, წარმართთა წინააღმდეგობას, დევნას, ქენჯნას და წამებითი სიკვდილსაც კი; ეს კი იმას ამტკიცებს, რომ არავითარ ძალას არ შეეძლო შეერყია მათი შეგნებული, გულითადი რწმენა მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეზე.

თუ მოციქულების ჩვენებას შევხედავთ, როგორც ჩვეულებრივ მოწმის ჩვენებას, უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ჩვეულებრივ ადამიანს ზნეთ სჭირს დამალოს თავის ნაკლულევანება და ან გაამართლოს თავის ცუდი მოქმედებანი და ცთომილებანი; ამიტომ საზოგადოთ მართლის მთქმელი მოწმეები, სრულიად სარწმუნონი ისეთ შემთხვევებში, რომლებშიდაც პირადათ არ ღებულობდენ არავითარ მონაწილეობას, არამედ იყვნენ მხოლოდ მაყურებლები, ხშირად მტყუარნი ხდებიან, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება პირადათ მათ მოქმედებაზე თავის შეცდომებზე და დანაშაულობაზე. იგინი ან სრულიად სდუმან, ანდა აჩვენებენ მიდგომილობით იმ განძრახვით, რომ დამალონ სიმართლე და თავი პატიოსნად აჩვენონ. მოწმის ტყუილი თავის თავის შესახებ კი უნდოთ ხდის მის ჩვენებას სხვის შესახებაც.

მაგრამ მოციქულები თავის შეცდომებზე და ცოდვებზე გულახდილად ლაპარაკობენ და სრულებით არ ცდილობენ თავი გაიმართლონ, არ ცდილობენ დამალონ ის მცირე მორწმუნოება, რომელსაც ისინი ასე ხშირად იჩენდენ.

გაიგონეს თუ არა იოანე წინამორბედის მოწმობა ქრისტეზე, მისი მოწაფეები ანდრია და იოანე მაშინვე გამოუდგენ იესოს და დაჰყვეს მასთან მთელი დღე; შემდეგ ანდრია ეუბნება თავის ძმას პეტრეს: ჩვენ ვნახეთ მესსია-ო და და მოჰყავს იგი იესოსთან (ი. I 37—42). და ამის შემდეგ,—შემდეგ მრავალი სასწაულისა, რომელ ჰქმნა იესომ,—შემდეგ სასწაულებრივ თევზის დაჭერისა, რომელმაც გამოიწვია პეტრეს ღაღადი: „განვშედ ჩემგან უფალო, რამეთუ მე კაცი ცოდვილი ვარ“ (ლ. V, 8),—შემდეგ (ღელვას) ქარტეხილის დაცხრომისა მოციქულები შიშით ბჭობდენ: „ვინა არს ესე, რამეთუ ზღვაცა და ქარიც ემორჩილებიან მას“ (მარ. IV, 41)? შემდეგ ხუთი ათასი კაცის ხუთი პურით განძღომისა,—შემდეგ ზღვაზე სვლისა და მცირემორწმუნე პეტრეს გადარჩენისა დახრჩობისაგან,—შემდეგ პეტრეს წარმოთქმულ სიტყვებისა:—შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა, იგივე მოციქულები, აურაცხელი ხალხის შემხედვარე, რომლის დასაკმაყოფილებელი საჭმელი არსად იშოვებოდა, ამბობენ: ვინა-ძალგვიძს განძღებად აქა პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა? (მარკ. VIII, 4). ასეთივე მცირედ-მორწმუნოება გამოიჩინეს კითხვაში:—ვითარ უკვე იტყვიან მწიგნობარნი, ვითარმედ ილიასი ჯერ არს პირველად მოსვლა (XVII, 10)? და თხოვნაში უფალო! გვიჩვენე ჩვენ მამა შენი! ი. XIV, 8) და სხვა შემთხვევებშიაც, რომლების ჩამოთვლა საჭიროთ არ მიგვაჩნია. და ყველა ასეთ შემთხვევებზე მოციქულები მოუთხრობენ ისეთ ნაირ სიმარტივით, რომ სრულებით არა სჩანს რომ მათ სურდეთ თავი გაიმართლონ. ეს კიდევ ცოტაა, მოციქულმა პეტრემ, როცა იგი რომში ქადაგობდა, გულახდილად უამბო მსმენელებს თავის სამგზითი უარყოფა ქრისტესი, რაც დაწვრილებით ჩაწერილია მისი სიტყვიდგან მარკოსის სახარებაში (მარკ. XIV 66—72). მოციქულებს არ დაურცხვენიათ და გულის წმიდით აღიარეს, რომ იესო ქრისტეს შეპყრობის დროს, იმათ დასტოვეს იგი და გაიქცენ (მტ. XXVI, 56; მარ XIV, 50).

ასე გულახდილად და სიმართლით ლაპარაკი თავის ეჭვებზე, შეცდომებზე და ცოდვებზე მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც სიმართლე და ჭეშმარიტება თავის-თავს ურჩევნიათ, რომლებმაც ამასთანავე შეიგნეს თავის შეცდომები და ცოდვები და სახალხოთ შეინანეს. ამიტომ, თუ მოციქულები მართალს ლაპარაკობენ თავის ცოდვებზედაც კი, უნდა უეჭველად აღვიაროთ, რომ იგინი მართალს ამბობენ იმ ამბებზედაც, რომლების მხოლოდ თვითმხილველი, დამსწრე მოწმეები იყვნენ.

მეორე მხრით, განსხვავებულ სიმართლის ხასიათს ღებულობს ისეთი მოწმის ჩვენება, რომელიც არა თუ იქადის თავის სიკეთით, არამედ ცდილობს კიდეც, დამალოს იგი. ასეთ მოწამეთ უნდა მივიღოთ განსაკუთრებით მოც. იოანე; მაგ., მახარებლები მათე და მარკოსი მოწმობენ, რომ როცა იესო ქრისტე შეიპყრეს

მოციქულებმა „დაუტევეს იგი და იქლტოდენ;“ მაგრამ თვითონ იოანე, რომელიც შემდეგ უშიშრად გამოცხადდა გოლგოთაზე, სდგა ჯვარსა ქვეშე და ქრისტეს ბრძანებისამებრ მიიღო დედა მისი თავის მზრუნველობის ქვეშ, თუმცა კი ლაპარაკობს ამაზე თავის სახარებაში, მაგრამ, როგორც აქ, ისე სხვა შემთხვევებშიაც არ ასახელებს თავის თავს, არამედ ამბობს, რომ ეს იყო ერთი მოწაფეთაგანი იესოსი.

ამ ნაირად, უნდა უეჭველათ მივიღოთ, რომ მოციქულებმა, რომელთა წერილობით ჩვენებას ჩვენ ვიძიებთ, ნამდვილ თავის თვალით იხილეს იესო ქრისტეს სასწაულები, განიცადეს მისი მოძღვრება,—სრულიად შეგნებულათ შეითვისეს ყოველი ნახული და გაგონილი,—თავის ჩვენება ყოველივე ამაებზე, აგრეთვე თავის ცთომილებანი და შეცოდებანი, გადმოგვცეს ჯერ ზეპირათ, ხოლო შემდეგ წერილობითაც და არ უარყვეს თავის სიტყვა არც წამების წინაშე და არც ჯვარზე; გარნა ასეთი თვისებანი მოწმეებისა თავდებნი არიან მათი ჩვენების სრული სიმართლისა.

(შემდეგი იქნება).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

როგორც გაზ. გვატყობინებენ ბერმონაზონი ილიოდორე პატივის მცემლებმა სინოდს ხელიდგან დაგლიჯეს და ისევ ცარიცინში დასტოვეს. ილიოდორეს თაყვანის მცემლების სიხარულს ამ შემთხვევის გამო საზღვარი არ აქვს.

ვინ იცის, ჩვენც რომ თავი გამოგვედვა, როგორც თავი გამოიდვეს მ. ილიოდორეს მომხრეებმა, იქნებ ყ-დ სამდვდელო კირიონი და არხიმანდრიტი ამბროსი, რომლებიც დღეს ექსორიაობას განიცდიან, შინ გვეყოლებოდენ. მაგრამ ჩვენ შნო არაფერში გვაქვს, და განსათრებით სასულიერო საქმეებში

„Daily Telegraph“-ის სიტყვით ინგლისში დიდათ დაინტერესებული არიან ახალი კანონ პროექტით, რომელიც შეეხება არსებულ კალენდრის შეცვლას. ეს პროექტი, რომელიც დღეს შეტანილია, საზოგადოებათა პალატაში, ეკუთვნის რობერტ პირსს. ეს პროექტი წინადადებას იძლევა შესწორებულ იქმნეს წელიწადის დრონი, დაექვემდებაროს კვირის დღეები თვის რიცხვებს, აღდგომის და სხვა მოძრავ დღესასწაულების დღეები ხვდებოდეს ერთ და იმავე განსაზღვრულ დღეს. ამ მიზნით წელიწადის პირველი დღე არ ეთვლება არც ერთ კვირას, არც ერთ თვეს და წელიწადის დროს, ეს წლის გარეშე დღეთ უნდა დარჩეს. დანარჩენი 364 დღე იყოფა ოთხ ნაწილად, თითო ნაწილში 91 დღე, და შეადგენს წლის მეოთხედს, 52 კვირად, რომლებიც შეიცავენ შვიდ შვიდ დღეს.

წლის თითეულ მეოთხედი ამ სახით შესდგება 13 კვირისაგან, რომელშიდაც ორი თვე ოცდაათ დღიანი იქნება, ხოლო ერთი 31 დღიანი. 1912 წლ. დაწყებული აღდგომა და სხვა მოძრავი უქმეები შეემთხვევიან ერთ და იმავე განსაზღვრულ დღეებში და ერთ და იმავე თვის რიცხვებში. 14 აპრილს ყოველთვის აღდგომა იქნება. შობა, 25 დეკემბერი, ყოველთვის ორშაბათს იქნება. ნაკიან წელიწადში ემატება ერთი ზედმეტი დღე, რომელიც, როგორც პირველი დღე, უნდა წლის გარეშე ითვლებოდეს. ეს დღე თებერვალს კი აღარ ემატება, არამედ ივანობისა და კვირკობის თვეების შუა ხდება.

საქმისთვის ასეთი რეფორმა წელთ აღრიცხვისა ძლიერ ხელსაყრელია, მხოლოდ რამოდენიმე წინააღმდეგობას გამოიწვევს ეკლესიის მხრით, რადგან ამით იშლება არსებული წესი აღდგომის დღესასწაულობისა. მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ღვთისმეტყველები ხშირათ ცილობდენ ურთიერთ შორის აღდგომის დღესასწაულობის შესახებ.

მიმდინარე წლის ზაფხულისთვის ქალაქ გელსინგფორსში მზადდებოდა მთელი ქვეყნის **ქრისტიან ახალგაზდათა კონგრესი.** ფინლანდია დიდი ამბით ემზადებოდა ამ კონგრესისათვის და დიდძალ ფულსაც ხარჯავდა. ეხლა იტყობინებიან, რომ ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მოხსენების შემდეგ, კონგრესი ფინლანდიაში აღარ მოხდება. კონგრესი შეიძლება შესდგეს ყველგან რუსეთის ქალაქებში, გარდა ფინლანდიისა.

У. Р.

რუმინიის მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს რომის ეკლესიაზე გამარჯვებას: ტელეგრაფმა ცნობა მოიტანა, რომ ბუხარესტის კათოლიკეთა მთავარ-ეპისკოპოსმა მილოტმა თხოვნით მიმართა რუმინიის პრიმატს მართლმადიდებელ ეკლესიის წიაღში მიღებისათვის.

ამ შემთხვევის გამო უ. ნ. დურნოკო გაზ. „Сп. В." ასეთ კითხვას იძლევა: „თავისუფალ რუმინიაში კათოლიკობა ეცემა, ხოლო დიდებულ რუსეთში იგი დღესასწაულობს. ვინ არის ამაში დანაშაული უ. უ. სინოდალებო?"

У. Р.

დეპუტატი ჩხეიძე თბილისის საგუბერნიო **ალმრჩევ კომისიას** გამოუცხადა ალმრჩეველთა რიცხვიდან და მისი არჩევნები უკანონოთ უცვნია.

У. Р.

ტულონის მთავარ ეპისკოპოსი აღშფოთებულია პრეზიდენტ ფალიერის მოგზაურობით, რადგან ჯარის კაცები და მათი უფროსები ეკლესიაში სიარულს აკლდებიან ამ ბრწყინვალე დღესასწაულებზე. იმის გამო, რომ მას უნდა შეხვდენ ხოლმე ან სდარაჯობდენ გზებს, სადაც პრეზიდენტი გაივლის. მთავარ ეპისკოპოსი ეკლესიიდგან მოკვეთას უქადის ფალიერს.

У. Р.

ნეტა თუ ფალიერი და მისთანანი კიდევ ეკლესიის შვილებად ირიცხებიან საფრანგეთში?

ტაშკენტიდგან 13 აპრ. იწერებიან, ჩარჯუკში წირვის შემდეგ პოლკის მღვდელმა, ასაკით 57 წლისამ, შიშთვილიბაო.

ისპანიამ უკვე მიიღო კანონპროექტი ეკლესიის ჩახელმწიფოსგან განკერძოების შესახებ. ამ კანონის ძალით კათოლიკე სარწმუნოებას ერთმევა უფლება სახელმწიფო სარწმუნოებისა. ამ ნაირათ სამღვდელოებას ერთმევა სახელმწიფო ჯამაგირი და მისი რჩენა-ყოფა გადადის მორწმუნეთა ხელში, გარნა სახელმწიფო უფლებას იტოვებს საეკლესიო შესავალ-გასავლის კონტროლისას. ეკლესიებსა და სხვა მსგავს შენობებს სახელმწიფო უფასოთ უთმობს სამღვდელოებას. ყველა სამსახურში მყოფი სამღვდელო პირნი დღეს დღეობით რჩებიან თავთავის ადგილზე, ხოლო შემდეგისთვის ყოველ სამღვდელო პირის დანიშვნაზე საჭირო იქნება მართებლობის თანხმობა. რადგან სახელმწიფო არ სცნობს კათოლიკობას, ამიტომ არც წინააღმდეგი გაუხდება სამღვდელოების ქორწინებას.

სახელმწიფო საბჭოს უკამათოთ მიუღია სათათბიროს **კანონპროექტი** შესახებ ოპეკის დანიშვნისა სოფლის მცხოვრებ მფლანგველებზე.

როგორც გაზ. Ут. Р. გვატყობინებს მიტროპოლიტ ანტონს დავლა-დაცემია, მარცხენა მხარე და ენა წაურთმევია.

იგივე გაზეთი გვატყობინებს შემდეგ საყურადღებო ამბავს, რომელსაც ადგილი ჰქონია სინოდის კონტორის ერთ სხდომაზე. აი ეს ამბავიც. 19 აპრილს „თბილისის სასულიერო და ადმინისტრატიულ წრეებში ამბობს გაზეთი, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ერთმა შემახვევამ, რომელსაც ადგილი ჰქონია სინოდის კანტორის ერთ ერთ უკანასკნელ სხდომაზე ალავერდის ეპისკოპოსმა დავითმა დემონსტრატიულად მიატოვა სხდომის დარბაზი და განუცხადა თავმჯდომარეს საქართველოს ექსარხოსს ინოკენტის, რომ უკანასკნელს ყველა წევრები დამამცირებელ მონებაში ჰყავს, ანგარიშს არ უწევს მათ მოსაზრებას, რომ იგი ეპ. დავითი, ძალიან ხშირად იძულებულია ხოლმე თავის რწმენის, სინიდისის და საეკლესიო კანონების წინააღმდეგ წავიდეს ექსარხოსის უფლების დიქტატორულ გამომეტყველების (проявленій) მეოხებით.

У. Р. № 88

პრუსიის ერთ პროვინციაში, რომელსაც აღმოსავლეთ პრუსია ეწოდება კანონი ყოფილა, რუსს და ებრაელს ნება არ აქვს თავის შვილი ცხრა წლის შემდეგ ხსენებულ პროვინციის ტერრიტორიაზე გააჩეროს, უთუოდ თავის სამშობლოში უნდა გაგზავნოს.

მოყავს რა ეს საუკეთოვო კანონი, ბ. ვ. ნაზიმოვი გაზ. „У. Рос.“ ასეთსავე ზომას ურჩევს მიიღოს რუსის მართებლობასაც, ე. ი. თვითაც გააძეოს თავის ტერრიტორიიდგან ნემცების ბავშები.

როგორც ვხედავთ, არც პრუსია ყოფილა წმინდა წყლის სახელმწიფო შესახებ ხალხოსნობისა. ამას წინათ კიდევ უცხოელ სტუდენტებს აუკრძალეს გერმანულ უნივერსიტეტებში და სხვა მაღალ სასწავლებლებში სტუდენტად ჩარიცხვა და სწავლის მიღება. ჩვენ დემოკრატებს რომ ჰკითხო ქართველს სამშობლო არ უნდა უყვარდეს და არც უნდა ნაციონალისტობდესო. რატომ ამ მოძღვრებით გერმანიაში არ წავლენ ჩვენი შინ გაზდილი ქვეყნის მამიდები? ქართველს ისედაც არ სწამს, თუ ნოე ეორდანიას დაუჯერებთ, სამშობლო და ეროვნება და რალა მათი ჩიჩინი გვჭირდება კიდე, თუ იმას დარაჯობენ, რომ ქართველ ტომმა სხვა ტომები არ ჩაყლაპოს, ეს სასაცილოდაც საყოფი არ არის და სწორეთ მონაკოს მეფის ინგლის-ბურთა ომის დროს გამოცხადებულ ნეიტრალიტეტს მოგვაგონებს.

პოლონურ გაზეთის Nova gazeta-ს სიტყვით ერთ ვარშაველს, სახელდობრ ოცი წლის შეგირდს კელლერს, ისეთი ტელეფონი გამოუგონებია, რომლითაც შესაძლებელია მიმავალ მატარებელში ელაპარაკოთ მგზავრს. ეს აპარატი კიდეც უცდიათ და კარგი გამოდგარა. მავთულების მაგივრობას რელსები სწევენ.

(Росс.)



ჩვენ რა დავაშავეთ?

როგორც გაზ. „Утро Россіи“ იუწყება ვოსტორგოვის დაარსებულ „სამღვდელო კურწებში“ ქ. მოსკოვში სწავლა დაუმთავრებია 200 მოსწავლეს.

რუსეთში, სადაც ამოდენა სემინარია და სასულიერო სასწავლებლები არსებობს, სადაც სამღვდელო კანდიდატებში უმისოდაც ნაკლულევანება არ არის, თუ კიდევ საჭირო შეიქმნა სამღვდელო კურსების დაარსება, რა დავაშავეთ ჩვენ, სადაც მხოლოდ ერთად ერთი სემინარია გაგვაჩნია, რომელიც ამასთანავე ერთ სამღვდელო კანდიდატსაც არ იძლევა და თუ მოგვცა, მისანა შენს მტერს, მას ყველაფერი ეცოდინება, გარდა ქართულისა და ქართული ზნე-ჩვეულებისა. რანაირ მღვდლებს იძლეოდა და იძლევა ჩვენი სემინარია ეს კაი ხანია დაგვიმტკიცა ცხოვრების მაგალითებმა. ამიტომ, თუ სადმე საჭიროა „სამღვდელო კურსები“,

პირველათ ჩვენში. ამას კარგათ უნდა ამჩნევდენ დღეს ჩვენი ეკლესიის ბედ-იღბლის გამგეები. მაგრამ ვის სცალია ჩვენთვის და ჩვენი ეკლესიისთვის, ვის შესტკივა გული და ვის ენაღვლება, როგორი მღვდლები იქნებიან ჩვენ სოფლებში და ქალაქებში? ჩვენი ყ-დ სამღვდელოები... მაგრამ განა მათ სიტყვას გასავალი აქვს? ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ერთმა ყოვლად სამღვდელოთაგანმა კაი ხანია წარადგინა, სადაც ჯერ არს, პროექტი ასეთი კურსების დაარსებისა და მოითხოვა ნებართვა მისი გახსნისათვის, მაგრამ ეს ერთი წელიწადი გადის, რაც პასუხს არ იძლევიან და, როგორც ეტყობა, არც აპირებენ. აუცილებელი საჭიროკი არის ასეთი კურსების დაარსება ჩვენში და ვისაც მართლმადიდებლობის საქმე აინტერესებს, უნდა ყოვლის ღონის ძიებით ცდილობდეს ამ საქმის განხორციელებას და სისრულეში მოყვანას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმეს ყურადღება მიექცევა საქართველოს ექსარხოსისაგან, რომელიც, როგორც ჩვენი ეკლესიის წარმომადგენელი და მართლმადიდებლობის დამცველი საქართველოში ვალდებულია იზრუნოს სამღვდელო კანდიდატების აღზრდისა და განვითარებისათვის.

ეს მცირე შენიშვნა გათავებული გვქონდა, როცა ერთ ერთ რუსულ გაზეთში ამოვიკითხეთ, რომ მოსკოვში ყოფილა გახსნილი სოფლის მწერლების კურსები, რომელიც წრეულს ორასამდე მსმენელს დაუმთავრებია. ამან ეფრო გვატკინა გული. თუ სოფლისთვის საჭირო კიი დახელოვნებული მწერალი, ნუ თუ ზედმეტია საღმთო წერილში განსწავლული მღვდელი ჩვენში?

ქართველებს საზოგადოთ გვაკლია სიმედგრე. ჩვენ საზოგადოთ ჩქარა მოუწყინდებით ხოლმე საქმეს: ვითხოვთ ერთხელ და თუ არ შეიწყნარეს ჩვენი თხოვნა, თავს მივანებებთ და აღარც კი გავიხსენებთ. ბატონებსაც რა ენაღვლებათ? გაჩუმდენ, სჩანს კმაყოფილნი არიან თავის ბედისაო, ამბობენ ისინი და თითონაც არ იმტვრევენ თავს ჩვენი გულისთვის. საჭიროა განუწყვეტლივ ვიმეორებდეთ ჩვენ საჭიროებას, საჭიროა თავს ვაბეზრებდეთ მეტი თხოვნით, რომ ცოტა რაიმე გამოვიტანოთ. ნუ დავივიწყებთ იესო ქრისტეს იგავს უწყალო მსაჯულზე და გვახსოვდეს მისი აღთქმა „ითხოვდით და მოგეცესთო“.

კარგი, ყველგან კარგია.

რუსულიდან გადმოთარგმნილი.

(გაგრძელება.)

არ მახსოვს, რამდენჯერ ვიყავი მე კრებაზე იმ დრომდი, სანამ სული წმიდის გავლენას დავემორჩილებოდი; აგრეთვე ისიც არ მახსოვს, ვგრძნობდი თუ არა რაიმე სარგებლობას ამ კრებებზე დასწრებით. ჩვეულებრივი შეხედულებით ეს კრებები მეტად მოსაწყენად ჩაითვლებოდენ. ჩემი მოქცევა მახდა 24 მაისს 1903 წელს. მივყევი რა ოდაც შინაგან, წყნარ და განუშორებელ შეგულიანებას, მე ვსძლიე ჩემში დაბუდებულ ბუნებრივ სიძულვილს შესახებ საჯაროდ ქრისტეს აღსარებისა, წინ წამოვდექი და ბევრ სხვებთან ერთად მეც დავიჩოქე. მე ცოდვილის ადგილი დავიჭირე და ღვთის მოწყალება ჩემთვის საჭიროდ მივიჩნიე. ერთმა მორწმუნემ, მან, რომელმაც წინაზე მკითხა ჩემი სულის მდგომარეობაზე, ჩემ მხლობლად დაიჩოქა და შეევედრა ღმერთს ჩემ ცხოვნებაზე. უეჭველია, რომ მთელი კრების წინ დაჩოქება და ლოცვა მოქცევის უსაჭიროეს ნაწილს არ შეადგენენ; აგრეთვე არ არსებობს განსაკუთრებითი ადგილი სადაც შეიძლება საუკუნო ცხოვრების ნიჭისა, და

არც განსაკუთრებითი ღონის ძიება მის მისაღებად. საჭიროა მხოლოდ ერთი, რომ კაცმა აღიაროს, რომ ის ცოდვილია და თავისთავად არაფრის ქმნა არ შეუძლია და ერწმუნოს, რომ „იესო ქრისტე, პირველ საუკუნე ძე ღვთისა, იღებს თავის თავზე ყველას ცოდვას, ვინც კი ერწმრნება მას, და რომელი მიეცა ცოდვათა ჩვენთათვის, და აღსდგა განმართლებისა ჩვენისათვის“ (რომ. 4, 25).

მე ვფიქრობდი, რომ კაცის ბუნებაში ცვლილება, თუ საზოგადოდ შესაძლებელია იგი, უნდა მოხდეს თანდათანობით, „განვითარების კანონისამებრ“ უეცარი მოქცევა მე არ მრწამდა, და ამიტომ მე არ გამეგებოდა არ შესმოდა ის, რაც მე მომდიოდა, რაც მე მემართებოდა. ჩემ გაუგებრობას მაინც არ დაუშლია ღვთის ყოვლის შემძლებლობისთვის, რომ მე მისი მადლის საშვალებით წარმოვშობილ ვიყავ ახალ ცხოვრებაში. მე მივიქეცი ღვთისადმი ჩემი ცოდვების ღრმა შეგნებით, და ეს იყო საკმაო.

შემდგომ წლებში მე ცოტა უკეთ დავიწყე შეგნება იმ გასაოცარ ცვლილებისა, რომელიც იმ საღამოს მოხდა ჩემ შორის, მაგრამ სავსებით მის დაფასებას მე შევიძლებ მხოლოდ საუკუნოებში. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს იყო გადასვლა სიკვდილისაგან ცხოვრებად. „წამიდან ყოველივე სულიერი შეიქმნა ჩემთვის მახლობელი, ნამდვილი და აღავსო ჩემი აზრები და ჩემი შეგნება. ამასთან მას, რაც წინეთ სულ ერთიანად მიზიდავდა, თავისი მიმზიდველობა ეკარგებოდა. მალე ბედნიერი გამოცდილებით შევიტყვე, რომ „ვინც არს ქრისტეს მიერ, ახალი დაბადებულია; პირველი იგი წარეხდა, აჰა ესე რა იქმნა ყოველივე ახალ, და ყოველივე ღვთისა მიერ“ (2 კორინ. 5 19, 20).

მოკლე დროში ჩემ ჩვეულებებში, შრომაში მისწრაფებაში მეტად დიდი ცვლილება მოხდა. საჩქაროთ დავადგინე ჩვეულება ყოველ დღე მეკითხა დაბადება (ბიბლია) და ღილა საღამოს მელოცა. ხშირად წინათაც ვშინჯავდი მელოცა, როცა სულის შემაწუხებელ მდგომარეობაში ვიყავი; ბევრ გზის საჯაროთაც, შინაც მე ვკითხულობდი ლოცვას, მაგრამ ეს არ იყო „ლოცვა,“ რადგანც მე არ ვიყავ მრწმუნე. მე სიტყვა ღვთისა არ მრწამდა, წუნს ვსდებდი მას და უარვყოფდი. მე არ მრწამდა შობა ქრისტესი ქალწულისაგან, არ მრწამდა მისი სიკვდილზე ძლევა—მოსილობა, არ მრწამდა აღდგომა ქრისტესი და სწავლა მასზედ, რომ მან სასხლი თვისი ჩვენთვის დაანთხია, რომ ქრისტე შეიქმნა „ჩვენ—ცოდვილთათვის მსხვერპლად, რომ ჩვენ მის მიერ შევიქენით ღვთის წინაშე მართალნი,“ (2 კორინ. 5, 23), მე ვთვლიდი ორა ფილოსოფიურ სწავლად და ულირსად რწმენისა. ერთად ერთი ღმერთი, რომელსაც მე ვსცნობდი, იყო ღმერთი მატერიალიზმისა ქმნილება გულს მოდგინე კაცის ფიქრისა. მე არ მქონდა ცნობა ღვთისა და მამისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა.“ მაგრამ ჩემთვის ყველაზე უფრო გასაკვირველი იყო შემდგომი ცვლილება, რომელიც მოხდა ჩემში იმ საღამოს: ყველა ჩემი ეჭვები, კითხვები, მთელი სკეპტიციზმი ფილოსოფიური სწავლა (რომელიც ყველაფერს ეჭვის თვალით ხედავს) მთელი კრიტიკა უკვალოდ გაქრენ. ხოლო ისინი ეხებოდენ კითხვებს ღვთაების სამპიროვნებაზე, საღვთო წერილის სინამდვილეზე, სულიწმიდის ჩაგონებით დაწერილობაზე, ღვთის სიტყვის უცვალებლობაზე. კითხვებს მასზედ, საკმაოა ჩვენი ცოდვების გამოსასყიდლად მხვერპლი ქრისტესი და აძლევს ის ღმერთს თავის მართლმსაჯულებასთან შემძლებლობას მიუტევოს ცოდვილს და გაამართლოს იგი? როგორ შეიძლება ცხოვნების მიღება? როგორ უნდა მივიღოთ ქრისტე? თვით იმ დღიდგან ასეთ კითხვებს აღარ შეუწუხებივარ მე.

ეს ფაქტი ჩემთვის გასაოცარია; მე ასე ვფიქრობ, რომ ყველაზე, ვინც კი ჩაუკვირდება მას, ის ასეთვე შთაბეჭდილებას მოახდენს. მე არ ვფიქრობდი, რომ განყენებული კითხვების ანუ ეჭვების მოშორება შეიძლებოდა სხვეფრ, თუ არ თან და თან ერთი მეორის შემდგომ მათი განხილვით და თვითეულზე ცალ-ცალკე პასუხის მიცემით, ამასთან პასუხი

ყოველთვის სრულიად უნდა აკმაყოფილებდეს დაინტერესებულ პირს. ასე არ მივგებებივარ ჩემ სიძნელეს და ჩემ ეჭვებს: ისინი უბრალოდ თავის თავად გაქრენ, როცა მე ვირწმუნე ჯვარცმული და მივიღე, ის როგორც ქრისტე ღმერთი და როგორც პირადად ჩემი გამომხსნელი.

(შემდეგი იქნება).

ღია წერილი*)

ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებლის მღვდლის გერვასი ბარათაშვილისადმი.

მამაო გერვასი!

პირველ ყოვლისა უმორჩილესად ბოდიშს ვიხდი მკითხველ საზოგადოებასთან, რომ ეს წერილი უმეტეს ნაწილათ კერძო ხასიათის არის, მაგრამ რადგანაც ჩვენ შორის ბინდ-ბუნდით არის მოცული და გამოურკვეველი დამოკიდებულება და მასთან ჭიათურის ადგილობითი საზოგადოებაც ძალიან დაინტერესებულია გაიგოს, თუ რომელი ჩვენგანი დამნაშავეა, ნებას ვაძლევ ჩემ თავს ყველას საყურადღებოდ განვაცხადო შემდეგი: სწორეთ მეოთხე წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც თქვენ მერევის სამრევლოდგან ჭიათურის საქალაქო სასწავლებელში გადმოხვედით საღმრთო სჯულის მასწავლებლად, ესე იგი, დასტოვეთ მსახური საეპარქიო უწყებაში და სახალხო განათლების უწყებაში დაიკავეთ ადგილი. იმ დროიდგანვე იმ ზომაზედ გაგიტაცათ ფულის სიყვარულმა, რომ არ დაკმაყოფილდით თქვენი დიდი ჯამაგირით და ჩემ სამრევლო დაბა ჭიათურაში მოურიდებლად და თავისუფლად იწყეთ ხელის ფათური, მოინდომეთ ჭიათურის ხელში ჩაგდება, რისთვისაც ყოველი ღონე იღონეთ, ყოველი ზომები მიიღეთ: დადიოდით ხალხში საიდუმლოთ, ჩემ თავს აძულებდით საზოგადოებას და თქვენი თავი კი ყველას გააცანით და დაასახელეთ ჭიათურის სამრევლოს მღვდლათ, რითაც რამოდენიმე პირები კიდეც შეაყვანეთ შეცდომაში, მასთან მთავრობასთანაც მრავალჯერ სიტყვიერად და ერთხელ წერილობითაც კი დამაბეზღეთ და ცილი დამწამეთ, ვითომ მე ჭიათურაში ეკლესიის აშენების წინააღმდეგი ვიყო და კიდეც თხოულობდით ჩემს გაძევებას ჭიათურიდგან; ეს ბოროტი სურვილი დღესაც გაქვსთ, თუ კი განახორციელეთ.... თქვენი ასეთი ამხედრება ჩემს წინააღმდეგ გახსოვსთ, როდის იყო? 1907—1908 წლებში, სწორეთ მაშინ, როდესაც მე ღვთის განჩინებამ თითქმის ერთ დროს მომაშორა სამუდამოდ ახალგაზრდა მეუღლე და ოჯახის მოამაგე და მოჭირნახულე მამა და ღრმა მწუხარებაში ჩავარდნილს თანა-მოძმეს ნუგეშის და გამხნევების მაგივრად თქვენის შეუფერებელი მოქმედებით ძარღვები ამიშალეთ და სიცოცხლე და ენერგია მომიწამლეთ. აი ძმობაც ამასა ჰქვიან!!! თქვენ კი არც ამას მიაქციეთ ყურადღება, რომ სასულიერო მთავრობამ დ. ჭიათურა მიაწერა რწმუნებულს ჩემდამი ზედარგნის სამრევლოს, რადგანაც ზედარგანი ნამეტანი პატარა სამრევლოა, სადაც მხოლოდ 60 კომლი ცხოვრებენ და ისინიც უკიდურესს სიღარიბეს განიცდიან ხუთი აზნაურისა და სამი გლეხის გარდა შავი ქვის მადნის დამუშავების მიზეზით მაშინ, როდესაც ზოგიერთს სამრევლოებში ხშირად 200—300 კომლამდის ცხოვრებენ და იქაც კი უჭირსთ ეკლესიის გრებულთ თავის რჩენა დღევანდელ პირობებში.

იმ მიზნით, რომ მე როგორმე დავეფარე სასულიერო მთავრობას თქვენის ძალ-მომრეობისგან და ყველას გაეგო, რომ ჭიათურა მე მეკუთვნის სამრევლოთ და არა თქვენ, სწორეთ რეა „რეზოლიუციაა“

*) ადგილს უთმობთ ამ წერილს, რადგან, საუბედუროთ, ასეთი დამოკიდებულება მეზობელ ღვდელთა შორის ხშირია, რაც ცოტათ თუ ბევრათ საზოგადოთ ხასიათს აძლევს ამ წერილს. რედ.

დადგენილი და დაკანონებული თქვენს წინააღმდეგ, რომელთაგანი ერთი არის ეპოლადუსმოღვაწეობა ეპისკოპოსის ან უკვე გურიელ-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ და შვიდი კი დღეკანდელი იმერეთის ეპისკოპოსის ეპოლადუსმღვაწეობის გიორგის მიერ, მაგრამ თქვენ კი არცერთ „რეზოლიუციას,“ განკარგულებას არ დაემორჩილეთ. ამას ისიც ვამატებთ, რომ 1909 წლის ნოემბრის 9—10 რიცხვებში ეპოლადუსმღვაწეობა გიორგი ბრძანებლობდა აქ მღვიმის დედათა მონასტერში, სადაც მე და თქვენ ერთად ყოფილვართ მისს მეუფეებს, რომელმაც მწუხეს მთავრული დარიგება გიბოძეთ შემდეგი სიტყვებით- „თქვენ თქვენი საკუთარი ადგილი გიკავიათ საერო უწყებაში, მაგ შტატის ადგილი სრულიად საკმარისია თქვენთვის, სხვის სამრეკლოში შეცილებას თავი გაანებეთო“ და სხვა. ამაკე დღეს თქვენ როდესაც დაბრუნებულხართ მონასტრიდგან ჭიათურაში, ჩემ დასამცირებლად ხმა გაგიგრცელებიათ, კითომ ეპოლადუსმღვაწეობამ გიორგიმ მე არ მიმიღო და გარეთ გამომაგდო; მიუსედავად ეკელა ამისა თქვენ დღესაც ისევ ძალზე ადგახართ და დღესაც თქვენებურად ეფოთარებთ ხელს ჩემს მრევლში. ასეთი ძალადობით და საქციელით თქვენ! თავსაც ამცირებთ საზოგადოების თვალში და ჩემს თავმოყვარეობას და უფლებასაც ფესვქვშ სთელავთ. ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა თქვენ თავიდგანვე ჭიათურის საეკლესიოთმოფოდგან დაიწყეთ. თქვენ არ შეგეძლიათ ეარი ეოთ შემდეგ ფაქტს: იმ დღიდგანვე, რა დღეც მე თქვენ ახალი დანიშნულება მოგიღოლეთ, ე. ი. 1908 წლის დასაწყისში თქვენის სიძის მამა ი. ვაშაძის თანდასწრებით, მადლობის ნაცვლად შემდეგი მეუბარა გამომეცხადეთ: „თუ ნება ეოფილობით საეკლესიოში ადგილი არ დამითმე, იცოდე, რომ ბრძოლას არ მოგიშლი და არ მოგისვენებო,“ რაზედაც მე შემდეგი გიპასუხეთ: „საეკლესიოში ადგილი დაცლილია, ორივემ ვითხოვოთ და, კისაც მოგცემენ, ის დარჩეს თქო.“ მართლაც ორივემ კითხოვეთ, მაგრამ თქვენ არ მოგცეს ამ მოსაზრებით, რომ თქვენ უმისოდაც ბევრი საქმეები და დიდი ეკლესიერი გაქვსო, მასთან თქვენ საერო-ეკლესიოს მღვდელი არა ხართ, ეპარქიის უწყებას არ ეკუთვნით, კრებული არა გაქვსთ და საეკლესიო საბუთები არა გაქვსთ და სად უნდა ჩაგეწერათ შესრულებული მღვდელმოქმედება? მართლაც უინზედ მეძეცეთ და ძალზე ადგიხართ, თორემ ეს რა გიჭირსთ მაგისი ფასი? თქვენი წლიური ჯამაგირი 1020 მანეთის უდრის, ე. ი თვეში 85 მან. მოგიწევსთ, მე კი წლიურად 282 მან. ხაზი ადგან მაქვს, ე. ი., თვიურად 23 მან. 50 კაპ. და საეკლესიოთმოფოდგანაც 8 მან. 33 კაპ. და სრულიად 31 მან. 83 კაპ., მასთან მე 10 სულს კარჩენ ისიც სულ ნაუილი სარჩოთი, ორ ვაკეს გიმნაზიაში ვზრდი და ერთ ქალსაც პროგიმნაზიაში, თქვენ კი ამოდენა ჯამაგირთან ოჯახში ცოლი და ორი შვილი გეყოლთ. ასეც რომ არ იყოს და რვა გზის აკრძალულიც არ გქონდესთ მღვდელმოქმედება ჩემ სამრევლოში, სადა გაქვსთ თქვენ ამდენი თავისუფალი დრო, რომ სადმრთო სჯულის მასწავლებლობის მოვალეობაც პირნათლათ შეასრულოთ და თანაც მღვდელმოქმედება ასრულოთ? თქვენ ასწავლით სადმრთო სჯულს ექვს-კლასიან საქალაქო სასწავლებლის ეკელა კლასებში, აგრეთვე საქალაქო სასწავლებელთან დაარსებულ მოსამზადებელ კლასებში და ოთხკლასიან კერძო საქალაქო პროგიმნაზიაშიც. ამ მოკლე დროში აქვე ხანიან ტეხნიკურ სასწავლებელს, სადაც, ამედია, თქვენ ხვეკ დაიკავეთ სადმთო სჯულის მასწავლებლის ადგილს... რომ მეტად გასარგებლნათ ჩემს სამრეკლოში და რომ უფრო შეგეწუხებიეთ და შეგეიწროებიეთ, სასკოლო შორის თქვენ კიდეკ მიმართეთ ერთ უკიდურეს საშუალებას: მიეწერეთ შორეულ შუქრუთის შტატის ეკლესიას სადაც, თქვენ საშორისა გამო სრულიადაც არ გესერხებათ საარული და სადაც თქვენი სიძე, მ. კაშაძე, არის მღვდელად.—ეს იმისათვის რომ მღვიმის მონასტერს მეტრიკული წიგნები არა აქვს და შუქრუთის ეკლესიის საბუთებით კი საერგებლობთ შემთხვევის დროს, რაზედაც თქვენ ეკალს გაუტხადეთ, რომ კითომ თქვენც გაქვსო მონიჭებული საეკლესიო საბუთები, კითომ ჭიათურა ზედარგნის მცირე სამრეკლოში კი არ შედის, თქვენ მოგაკუთვნესთ, მაგრამ რადგანაც ტუალს მოკლე ფეხები ასსია, ამ ხერხს ეკელა მიგიხედა... თქვენ კიდეკ არ კასვენებსთ ჭიათურის საეკლესიოთმოფოში ფეხის ჩაუდგმელობა: ძალიან იშვიათია შემთხვევა არის ხოლმე, რომ მე შინ არ ვიყო და

ჩემ მაგიერათ თქვენ მოგითხოვონ სასკოლო-მეურნეობაში.

ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში სულ ორი შემთხვევა მქონდა, რომ შემთხვევით შინ ვერ დავესწარი და თქვენ გთხოვეთ მღვდელ-მოქმედება, ისიც იმიტომ, რომ სხვა მღვდელი ვერ ეშოვათ. აქაც აჩინა თავი თქვენმა ერთგულობამ ხრიგამ.—პირველ შემთხვევაში თქვენ მოგითხოვიათ სასკოლო-მეურნეობის გამგე ეკონომისათვის ოფიციალური წერილი, კითხა ამით გინდათ აგრძნობინოთ სასკოლო-მეურნეობის, რომ თქვენ აუცილებელი საჭიროა ხართ მისთვის ერთის მხრით, სოლო მეორეს მხრით ასეთ მოწერილობებს საბუთად გამოიყენებთ და უფრო ადვილათ შეიძლებთ ჩემს გამეგებას. მეორე შემთხვევა ახლა ამ აპრილის პირველ რიცხვში მოხდა; პირველ აპრილს მე ქუთაისში წავედი სკოლა-მეურნეობის შეიტის სანახავათ. თურმე იმ დღეს ერთ მძიმე სკოლა-მეურნეობს, სახელდობ კასილ ნოზაძეს ზიარება უსურვებია; მე რომ შინ ვერ უსასყიდოთ, თქვენი საძის მ. ი. კაშაძისათვის ეცნობებინათ; მან, თურმე მოლაქულს უთხრა, მ. გერგასი წაიდაო საზიარებლადო, რაც ტუილი აღმოჩნდა. თქვენ თურმე იქვენებურათ ოფიციალური მოწერილობა მოგეთხოვათ სასკოლო-მეურნეობისთვის, რაც კანონიერი არ იყო და სალოდაგმა კაკვანტმა თურმე აღსარების და ზიარების ნატკრაში განუტეხა სული და უკანასკნელად საუკეთესოთა და ტირილით ეთქვა სალოდ მომაკვდავს: „მე ქრისტიანი კაცი კარ და აღსარებოთ და ზიარებლათ არ უნდა მოკვდარიყავიო!“ ამ ამბავმა აშფოთა და აღელვა თურმე კინტ ?ა ?ა?ეგო და გაიძახოდენ: „რომელ კანონში წერია ძღვდელს, რომ, ქრისტიანი კვდებოდეს, ოფიციალური ქაღალდი მოითხოვოს და უმისოთ არ აზიარონო.“ ამითი, რასაკვირველია, თქვენ გინდოდათ ჩემთვის ჩირქი მოგეცხოთ, მაგრამ ეოველი ფხიზელი და სადი გონების ადამიანი მიხვდება, რომ ამ შემთხვევაში მე სრულებითაც არა ვარ დამნაშავე. ამ შეუფერებელი საქციელით თქვენს თავს უფრო მოსცხეთ ჩირქი და ჩაიგდეთ თქვენი თავი სალოდაობაში და მძიმე მასუხის გებაში. ნუ თუ თქვენი მოკალეობა არ იყო და არ იცით, რომ სასიკვდილე ზიარებაზე და ნათლაზე არასად და არას დროს უარის თქმა არ შეგიძლიათ?!

ახლა გკითხავთ, თქვენ დალოცვილო, რატომ ნათლებზე და ქორწინების შესრულებაზე არ თხოულობთ ოფიციალურ მოწერილობის და ნებართვას? აი ეს საბუნარო მაგალითია ცხადათ ამ-ტკიცებს, თუ რა მოკლე მოსაზრება და გულცივი შეხედულება გქონიათ მღვდელობაზე და მისს დიად მოვალეობაზე.

დასასრულ უმდაბლესად ვსთხოვ ჩვენს თანა-მოძმე სამღვდელოებას, რომ თავისი პირუთვნელი სწორი აზრი და შეხედულება გამოსთქვას ამ გაზეთის საშუალებით თქვენი შეუფერებელი საქციელის შესახებ. იმედია თვით პატიგცემული რედაქციაც თავისს დროზედ გამოსთქვამს თავის საკუთარ აზრს ჩვენს შესახებ და მითი გაიგებს ყველა, თუ რომელი ჩვენგანია დამნაშავე ღმერთთან, კაცთან და სვინდისთან!, ...

თქვენგანვ უსამართლოდ დევნილი მღვდელი
ბესარიონ იაკობის ძე კაშაძე.

ძმობის ახალი წევრები.

წლიური გადასახადი **სამ სამი** მანეთი შემოიტანეს და ი. ს. გ. ძმობის **წევრებად ჩაეწერენ:** მღვდ. **ივლიანე ჩლაიძე** (რაჭიდგან) და მღვდელი **ძირილე ჩიხლაძე** (ქუთაისის საბლაღოჩ.).

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მუედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეფავა.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

ТИПОГРАФСКІЕ

И ЛИТОГРАФСКІЕ СЛУЖАЩІЕ,

наборщики, накладчики, стереотипщики, машинисты, цинкографы и т. д., ищущіе мѣста и содержатели типографіи, нуждающіеся въ служащихъ, сообщаютъ объ этомъ черезъ

„Всеобщій Типографскій Указатель,“

который читается во всѣхъ безъ исключенія типо-литографіяхъ всей Россіи. Предложеніе труда—50 коп. за публикацію. Спросъ труда—30 к. строка. Можно пересылать почтовыми марками. Пробный № БЕЗПЛАТНО.

Редакція и контора **Москва**, Мясницкая 20.

4 рубля безъ доставк.

полное собраніе сочиненій

ГЮИ де-МОПАСАНА.

5 рублей съ пересыл.

Переводъ подъ редакціей **А. А. Коринфскаго**, въ 14 томахъ съ портретами, автографами и съ литературно-біографическимъ очеркомъ **А. А. Коринфскаго**. Въ первомъ томѣ—**Оцѣнка таланта ГЮИ де-МОПАСАННА** французскимъ писателемъ **Эмилемъ Золя**, ЦѢНА за всѣ **14 томовъ** въ розничной продажѣ **14 рублей** (по 1 р. за томъ). Открыта предворительная, на льготныхъ условіяхъ, подписка: **цѣна ПЯТЬ р.** съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россіи за все полное собраніе сочиненій. Книги печатаются на роскошной бумагѣ, въ художественно-исполненной обложкѣ, содержатъ въ себѣ около 5000 страницъ убористой печати, съ иллюстраціями и портретомъ автора на мѣловой бумагѣ. Въ число 14-ти томовъ входятъ, кромѣ вышедшихъ при жисни геніальнаго французкаго писателя сочиненій, и

ВСѢ ЕГО ПОСМЕРТНЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ.

На 1-ое ПОЛНОЕ собраніе сочиненій ГЮИ де-МОПАССАННА въ 14-ти томахъ, подписная Цѣна ПЯТЬ рублей. По выходѣ всѣхъ томовъ, цѣна будетъ повышена до 12 рублей. Требованія и деньги (5 р.) адресовать: **Книжному магазину «СѢВЕРЪ», С.-Петербургъ, Петеб. Сторона, Большой просп., д. № 3.**

„შინაურ საქმეები"-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (вѣдомости) წლიური საბლაღოჩინო ანგარიშებისათვის ბლანკები „ძმობის" გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა — რწყვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ.
ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно-Просвѣтительнаго „братства".
Ольденбургская д. № 5.

სტამბა მოთავსებულია ალექსანდრ. ქუჩ., ექიმ გოკიელოვის სახლებში.

იოსებ ხელაძის
სტამბა
ქუთაისში

დებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს და აგრეთვე ევრ. ენებზე. საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე

სტამბა გაუმჯობესებულია — მრავალი — ახალი შრიფტებით.

დაიბეჭდა და იყიდება „შინაური საქმეების" გამოცემა

შემდეგი წიგნაკები:

ექიმის დღიურიდან

არა კაც-კლა.

რუსულიდან გადმოთარგმნილი.

მოხსენება

პროფესორ ა. ცაგარელისა.

ნათარგმნი

სინოდის ორგანის „Церковныя Вѣдомости"-დან, 1906 წლ.

მოწმობანი მე XVII—XVIII საუკ. ოფიციალურ მიწერ-მოწერებისა საქართველოს (იმერეთის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

)(Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.)(